№ 217 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი

ფასი 10 მან. კვირა, სექტემბრის 26 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ნინა და ვასილი მალაშხიები შვილებითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ. რომ 27 სექტემბერს 1921 წელს ორშაბათს 1 საათზე, დიდუბის სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი შვილის

სამხედრო მფრინავი, კაპიტანი

გრიგოლი (გრიშა) ვასილის ძე მალაშხიას

2866 3—3

სახელმწიფო თეატრი.

ბალეტის სკოლა

მიიღებიან მხოლოდ ვაჟები 8 წლიდან ვიდრე 16 წლამდე.

მასწავლებელთა რიცხვში მოწვეულია ცნობილი ბალეტმეისტერი პეტროგრადის სახელმწიფო მარინის თეატრისა **სერგეევი.**

—— ვაჟების სწავლება უფასოა ——

ჩაწერა შეიძლება სახელმწიფო თეატრის კანტორაში 10-3, 7-9 საათამდე.

907 1—1 სკოლის დირექტორი **მ. ი. პერინი**

სახელმწიფო ოპერა.

სეზონი 1920—1921 წ.

დასის შემადგენლობა: (ანბანზედ)

ქალები: სოპრანო:
ალეშკო მ. ი.
ბაიარსკაია ნ. ე.
ბურაგო-ცეხანოვსკაია ვ. ვ.
ვალკონსკაია.
ვოლ-ლევიცკაია ა. ს.
ვიშეშირსკაია-ცაგარელი მ. ა.
მანდელნოვა ს. გ.
მაზოვაცკაია ნ. გ.
მასტი ფ. გ.
კალანდაძე ო. ს.
რისი ო. ლ.
ოქროპირიძე.
სპრიშესკაია დ. ტ.

მეცცო-სოპრანო.
ერმოლინსკაია ა. ა.
პანინა ნ. ი.
იანსა მ. ა.
შელუდკოვსკაია ნ. ფ.
ცინკ. ფ. ხ.
ერვანდელი.
ოვსიანიკოვა ლ. ა.
ნეიმანი ბ. მ.
ზასლავსკაია ო. ფ.

კაცები: ტენორები
ზალიპსკი ბ. ი.
კურბატოვი ა. ე.
მოჩანოვი ი. პ.
სარაჯიშვილი. პ.
ჭუმბურიძე ა.

ბარიტონები:
ბალაბანი ა. ა.
ვენაძე გ. ი.
დროზდო-პოლიაევი ფ. ნ.
ინაშვილი ა. ი.
თარხან-მოურავი მ. ი.

ბასები:
დემიანენკო ა. ა.
ისეცკი ლ. ნ.
იმერლიშვილი ე. ი.
საბინინი იუ. დ.
ნიროვი ნ. პ:
ეზროვი ნ. ს.
ორლიუკი ს. ა.
ქურხული გ. ა.

ბალეტი 12 წყვილი, ბალეტმეისტერი **ს. ფ. ვაკარეცის** და პრიმა-ბალერინა **ბაუერზაკის მ. ე.** ხელმძღვანელობით. რეჟისორები: ბელსკი ა. დ., ჟღენტი ვ. ლ. და გურესი ა. ა. გუნდის ხელმძღვანელი სვიმონიშვილი ლ. ია. დირიჟორები: სტოლერმანი ს. ა., ჩერეპნინი ნ. ნ. და მიზანდარი. კონცერტმეისტერები: საბინ-გუს ე. დ., სოკოლოვა ლ. ვ., გოლდმანი ლ. ი.., ფალიაშვილი ჟანნა. სუფლიორები: ნიკოლაევი ხ. ი. და სარაჯიშვილი ა. გ.

გუნდის 50 კაცი ✦ ორკესტრი 50 კაცი.

მუსიკალურ ნაწილის გამგე ფოცხვერაშვილი პ. გ. სამხატვრო ნაწილის გამგეები. ზალკმანი ა. ა. და სიმონოვი ვ. ა. ოპერის დირექტორი **„ს. ი. ევლახიშვილი.**

სეზონი გაიხსნება

ხუთშიბათს, **30 სექტემბერს** სრულიად ახალი მოწყობილობით, ახალ დეკორაციებით, ახალი ტანისამოსით და გაძლიერებული ხოროთი ორიგინალური ქართული ოპერა მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა. **„აბესალომ და ეთერი“**, დასდგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორობს ავტორი ზ. პ. ფალიაშვილი. პარასკევს, 1 ოქტომბერს **„პიკის ქალი“.** ოპერა 4 მოქ., მუსიკა ჩაიკოვსკისა. დირიჟორი სტოლერმანი. შაბათს, 2 ოქტომბერს **„რიგოლეტო“**, ოპერა 4 მოქ., მუსიკა ვერდისა დირიჟორი სტოლერმანი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 11 საათ. დღის 3 საათ. და საღამოს 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზედ.

სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაცია.

909.

საქართველოს სახელმწიფო ბანკი

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ბანკი ადგილთბრიკი ხაზინების საშუალებით აწარმოებს ფულის გადაგზავნას და გადმოგზავნას ბარათით და დეპეშით როგორც ტფილისიდან ქალაქებზე: ბათომი, ფოთი, ქუთაისი, ჭიათურა, სოხუმი, სილნაღი, თელავი და ონი ისე ამ ქალაქებიდან ტფილისზე.

ბანკი ღებულობს კომისიას:

1) ბარათით გადაგზავნაში 1000 მანეთზე—4 მან.
2) დეპეშით გადაგზავნაში 1000 მანეთზე—8 მან.

დეპეშის ფასი სიტყვაზე 12 მან.

როდესაც ფული იგზავნება სახელდახელო ანგარიშიდან სახელდახელო ანგარიშზე ჩასარიცხად კომისიას ბანკი იღებს: ბარათით გადაგზაგნაში 2 მან. და დეპეშით გადაგზავნაში 4 მან. 1000 მანეთზე.

908 1—1 **სახელმწიფო ბანკის მმართველი.**

საქართველოს მუზეუმის სამეურნეო საბჭო.

აცხადებს

კონკურს მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილენი ოქტომბრის 20-დის სამეცნიერო საბჭოსადმი მომართულ თხოვნასთან ერთად, აცნობებენ მუზეუმის ადმინისტრაციას: (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 10).

ა) Curriculum vitae-ს.

და ბ) საბიბლიოთეკო მოღვაწეობის სტაჟს.

კონკურსში მონაწილეთ უნდა იცოდენ რამდენიმე უცხო ენა.

სასურველია უმაღლესი განათლება და აგრეთვე ქართული ენის ცოდნა.

თხოვნების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათამდის მუზეუმის კანცელარიაში.

2896. 3—1.

ტფილ. ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ,

რომ გამგეობის აგენტები, რომელთაც დავალებული აქვთ ბინების გამოკვლევა-დათვალიერება თვითეულ კერძო შემთხვევაში, აღჭურვილნი იქნებიან გამგეობის წევრის მიერ ხელმოწერილი ორდერით დასახელებული სახლის ანუ ბინის გასინჯვის შესახებ.

906 3—2

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება

ამით აცხადებს რომ 1920 წ. 6 ოქტომბერს დილის 12 საათზედ ზემოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით

საჯარო ვაჭროგით იჯარით გაიცემა ექვსი თვის ვადით ტფილისიდან მანგლისში და აღგულაღში სამხედრო ტვირთის ზიდვა.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში (ბარიათინის ქუჩა № 10) დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის.

904 3—2

ოფიციალური განკუთვნილება.

კანონი

შრომის ხელშეკრულობისა.

14. შრომის ხელშეკრულობის დარღვევისათვის დასჯა და დაჯარიმება.

მუხ. 84.

შრომის ხელშეკრულებისათვის დაწესებული კანონების დარღვევისათვის დამნაშავეთ გადახდებათ საერთო სასამართლო წესით სასჯელი განსაზღვრული სისხლის სამართლის კანონებითა და ქვემოდ ჩამოთვლილ მუხლებში აღნიშნული.

მუხ. 85.

ვინც ცნობილ იქნება დამნაშავედ იმისა, რომ დამქირავებელთ ან ცალკე წარმოების ადმინისტრაციას, ან დამქირავებელთა ორგანიზაციას დამქირავებლებისათვის რაიმე მიზეზით არა სასურველი მუშებისა და მოსამსახურეების სახელები აცნობა, რათა ამითი მუშა-მოსამსახურეთა ადგილიდან დათხოვნა გამოიწვიოს, ან გაუძნელოს იმათ სამუშაოს შოვნა (შავი სიები), დაისჯება: პირველად ჯარიმით ათასი (1000) მანეთიდან ათი ათას (10000) მანეთამდე, ხოლო დანაშაულის განმეორებისათვის - საპყრობილეში დაპატიმრებით ერთი თვიდან ერთ წლამდე; ამ გვარადვე დაისჯება ისიც, ვინც შავს სიებს ისარგებლებს და აგრეთვე ის, ვინც ამ კანონის მე-38 და 54 მუხლს დაარღვევს.

მუხ. 86.

იმ დამქირავებელთა და წარმოების გამგეებს, რომელნიც: 1) მუშებსა და მოსამსახურეებს შრომის ბირჟის გარეშე დაიქირავებენ (მუხ. 2.) და აგრეთვე გარეშე მუშათა და მოსამსახურეთა დაქირავებას არ აუწყებს ბირჟას (მუხ. 6); 2) მუშას ან მოსამსახურეს იყოლიებენ საანგარიშო წიგნაკის ჩაუბარებლად (მუხ. 32 და 35), ჯარიმა გადახდებათ: ორმოც და ათიდან ორას მანეთამდე თითოეულ დანაშაულისათვის, ხოლო თუ რამდენიმე დანაშაული ჩაიდინეს და მათი უკანონო მოქმედება ერთად გამოაშკარავდა,—ჯარიმათა საერთო ჯამი. ეს ჯამი ამ მუხლში აღნიშნული ყოველი დანაშაულისათვის ცალკე იქნება აღრიცხული, მუშათა იმ რიცხვის მიხედვით, რომელნიც ბირჟის გარეშე და მის ცნობის მიუწოდებლად იქნებიან დაქირავებული,

ან რომელთაც საანგარიშო წიგნაკები არ აღმოაჩნდებათ, ან უწესოდ წარმოებული წიგნაკები ექნებათ, ისეკი, რომ ჯარიმის საერთო ჯამი ხუთიათას მანეთს არ აღემატებოდეს.

მუხ. 87.

დამქირავებელთ და წარმოების გამგეებს, რომელნიც დამნაშავედ იქნებიან ცნობილნი, რომ: 1) გამგეთა და მათ მოადგილეთა და ნიშვნის წესრიგი დაურღვევიათ (მუხ. 30 32); 2) დაწესებულ წიგნთა წარმოების წესი არ აუსრულებიათ (მუხ. 31); 3) დაქირავებულთაგან სასყიდელი აუღიათ ისეთი საგნისათვის, რომელიც მათ უფასოდ უნდა მიცემოდათ (მუხ. 71); აგრეთვე ფასად მისაცემი საგნისათვის კანონით ან განსაკუთრებულ წესით განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი სასყიდელი აუღიათ (მუხ. 64); 4) დაქირავებულისათვის სესხად მიცემულ ფულის სარგებელი გადაუხდევინებიათ, ან ფულის ვალდებულობათა თავდებობისათვის გასამრჯელო გამოურთმევიათ (მუხ. 65); 5) დაქირავებულთათვის ხელფასის მიცემის დროს ფულის ნაცვლად კუპონები, ჩეკები და სარგებლიანი ქაღალდები, შეპირებული ნიშნები ან სხვა საგნები მიუციათ (მუხ. 61); 6) დაურღვევიათ დადგენილება იმ განცხადებათათვის, რომლის გამოკვრა და გამოქვეყნება სავალდებულოა (მუხ. 27 და 28); 7) დაქირავებულისათვის ფულად ჯარიმა შეუწერიათ (მუხ. 46) და 8) შრომის სამინისტროს ან შრომის საბჭოს მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილება დაურღვევიათ, სასჯელად დაედებათ: ფულად ჯარიმა ასიდან ხუთას მანეთამდე, ხოლო თუ განიმეორეს ამ მუხლის 1 და მე-7 პუნქტში აღნიშნული დანაშაული, დაპატიმრება სამ თვემდე და, ამას გარდა, წარმოების გამგეს შეიძლება ორ წლამდე ჩამოერთვას წარმოების გამგის აღსრულების უფლება.

შენიშვნა: წარმოების გამგე, რომლისათვისაც დროებით ჩამოურთმევიათ წარმოების გამგის აღსრულების უფლება, შრომის დაცვის ორგანოს ნებართვით შეიძლება დატოვებულ იქნეს წარმოებაში, ვიდრე წარმოების პატრონი იმის სამაგიეროდ სხვას იშოვიდეს, ხოლო ორ თვეზედ არა უმეტესის ვადით.

მუხ. 88.

თუ დამქირავებელი დაქირავებულს კანონით ან ხელშეკრულობით დადგენილ ვადაზე არ გადაუხდის ხვედრ ხელფასს, იმ თანამდებობის პირს, რომლისათვისაც შრომის კანონების წესიერად აღსრულების მეთვალყურეობა დაუვალებიათ, შეუძლია, თუ ამის გამო თვით დაქირავებულმა, ან დაქირავებულთა კავშირმა საჩივარი აღძრა, დამქირავებელს გადაუხდელი ხელფასის საერთო ჯამს 5-დან 10 პროცენტამდე ჯარიმად შეაწეროს.

მუხ. 89.

წარმოების ის საადმინისტრაციო ან გამწესრიგებელ მოვალეობათა აღმასრულებელნი, რომელნიც შრომის დაცვის კანონებს აშკარად და სისტემატიურად დაარღვევენ, ან მუშებსა და მოსამსახურეებს მოქმედებით ან სიტყვიერად შეურაცხყოფას მიაყენებენ, თუ ამის გამო მუშები, მოსამსახურენი ან იმათი კავშირი აღძრავენ საჩივარს, ყოველი სხვა სასჯელის გარდა, სასამართლოს დადგენილებით წარმოებიდგან დათხოვნილ იქნებიან.

მუხ. 90.

დამქირავებელსა ან წარმოებათა მმართველობაზე ამ კანონით შეწერილი ფულადი ჯარიმა გადახდებათ იმ საავადმყოფო კასის სასარგებლოდ, რომლის მონაწილენიც არიან სათანადო წარმოების მუშები და მოსამსახურენი. თუ ის მუშები და მოსამსახურენი საავადმყოფოს კასის მონაწილენი არ არიან, ჯარიმის ფული შეტანილ უნდა იქნეს ერთ-ერთ ადგილობრივ საავადმყოფო კასაში. ისე კი, რომ უპირატესობა რესპუბლიკის ცენტრალსა ან საერთო საქალაქო კასას მიეცეს. ჯარიმის ფულით შემდგარი თანხის დახარჯვის წესრიგი შრომის სამინისტრომ უნდა დაადგინოს.

მუხ. 91.

სამრეწველო შრომის წესდების (რუსეთის კანონთა კრებულის ტომი XI ნაწილი მე-II, თავი პირველი, კარი მეორე 1913 წლის დამატებანით) მე 42—63, 87—112 და 211—218 მუხ. და აგრეთვე 1918 წლის 14 იანვრის დებულება მუშებისა და მოსამსახურეების მიღება-დათხოვნისა, ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემული, ამ დებულების მე-12 მუხლის იმ ნაწილის გარდა, რომელიც გასამრჯელოს რაოდენობას შეეხება,—გაუქმებულია.

1920 წ. აგვისტოს 14-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლოლთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

არა ოფიციალური განყოფილება.

ევროპის სოციალისტური დელეგაცია პროვინციაში.

კახეთში *)

წინანდალში.

თელავის გზას გავყევით. მზე გადაიხარა და კავკასიონის ქედი კიდევ უფრო აფერადდა, ხოლო ალაზნის ხეობა განსაკუთრებული სილამაზით ხიბლავდა სტუმრებს. მოსჩანს დაუსრულებელი ვენახები, აქა-იქ გლეხები უკვე ხვნა-თესვას შესდგომიან, ხოლო ხეხილის ბაღები თავის მწიფე ნაყოფით ამშვენებს ეზოებს. კახეთი გადაშლილია მთელი თავისი წარმტაცი ბუნებით, სიმდიდრით და სინამდვილით. ერთი თვალის მოვლებით აქ დაინახავთ საქართველოს ერთ უმდიდრეს და უმშვენიერეს კუთხის განძს, მის სულიერ და ქონებრივ ავლა-დიდებას. 5 საათი იქნებოდა, რომ სად, წინანდალში მივედით, სადაც დახვდა დელეგაციას ახლო-მახლო სოფლების ხალხი. თელავიდანაც ბევრნი მოსულიყვნენ, მიუხედავათ იმისა, რომ ხვალ დელეგაცია თელავში იქნება. ვისაც კი სად აქვს საშვალება, ყველას სურს ორხელ და სამხელაც მოისმინოს მათი სიტყვები, გაეცნოს მათ აზრებს. აქ სიტყვა წარმოსთქვა **მარკემ**, რის შემდეგ სტუმრები ეტლებით წინანდალის ნაციონალურ მამულში გაემგზავრნენ. მამულის ეზოს შესასვლელი კარები მორთულია ყვავილებით და ზედ წარწერა აქვს „ძვირფას სტუმრებს“.

უკვე შეღამდა. ნახულზე და გაგონილზე საუბარი გაიმართა. შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ ერთმანეთს. მომღერალი ახალგაზდებიც ჩვენთან მოვიდნენ და ერთმანეთს გული გადაუშალეთ: ვანდერველდე ამბობს: „როცა მე დერეფანში ვიჯექი და გავსცქეროდი მშვენიერ მთებს, მე წარმომიდგა თვალწინ, რომ იმ მთებს იქეთ არის ხალხი, რომელიც სამი წლის წინეთ თქვენთან ერთად მიდიოდა, თქვენთან ერთად იბრძოდა, მარა თქვენი გზები გამოდგა სხვა ტ სხვა ტ თქვენ დაშორდით ერთმანეთს. მე მომაგონდა მაშინ, დღეს რომ ერთმა ქართველმა ამხანაგმა გვითხრა: „თქვენ უნდა დიგვეხმაროთ, რომ ევროპამ იცნოს ჩვენი დამოუკიდებლობაო“. ეს, რასაკვირველია, ასეა, ჩვენ სხვანაირად ვერ მოვექცევით, როცა დავბრუნდებით იქ, ამას მოვიმოქმედებთ და ჩვენ გვწამს, რომ საქართველო ამ შემთხვევაში ითამაშებს უდიდეს როლს აღმოსავლეთში, რომლის სიმბოლო დავინახე ქართულ დროშაში. აქ ერთი ნაწილი შავია, რომელიც მომაგონებს დახოცილ ამხანაგებს. ვინაიდან თქმულა, ჩვენ მაშინ ვცხოვრობთ სრულიად, როცა ჩვენი მკვდრები გვახსოვსო. თეთრი ფერი კი სიმბოლოა მშვიდობიანობის, ხოლო წითელი კი მუშათა კლასის გამარჯვების.“ **დე ბრიუკე** იგონებს სახალხო სახლში გამართულ კრებას და ამბობს: „ყველაზე დიდ პატივისცემად ჩემი ქვეყნისათვის მე ვსთვლი იმ შედარებას, რომელიც ჩვენი მოსვლის პირველ დღეს ჟორდანიამ გააკეთა სახალხო სახლში, როცა საქართველო შეადარა ბელგიას. მე ეს განუსაზღვრელად მახარებს, ვინაიდან ჩემს თვალში ეს ბელგიის ღირსებას ზრდის“.

თომას შოუც თავის ჩმეულებრივ სიხალისით ამბობს: „სოციალიზმი ზოგს აქვს წარმოდგენილი რაღაც მოსაწყენ მეტად ერთფეროვან წყობილებად. მე ეს არ მესმის. მე მესმის სოციალიზმი ისე, რომ ხალხი ყველა იყვეს მხიარული, მუდამ მომხიბლავი, მომღიმარი და ბედნიერი, გარეშე ამისა არ არის ცხოვრება, არ არის ნეტარება. ამისთვის იბრძვის მუშათა კლასი, მთელი კაცობრიობა, რომ ყველა იღიმებოდეს, ყველა ვრძნობდეს ბედნიერებას და ჩემი ეს წარმოდგენა მე ვნახე საქართველოში ნახევრად სინამდვილეში. ის, რაც მხვდება მე ამ მუდამ მომღიმარ ცოცხალ ხალხის სახით, ჩემთვის იმედების აღმძვრელია და ეს არის უძვირფასესი, რისი ამბავიც მე უნდა წაიღო ჩემს ქვეყანაში.

ოენოდელის უმთავრესი ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებას, რომ აქ გლეხი და ქალაქის მუშა შეთანხმებულად გამოდის საერთო ბრძოლაში. ორივეს ერთი ლოზუნგები უწერია დროშაზე და ემსახურებიან ერთ იდეალებს. მან სთქვა: „საქართველოში მმართველი პარტია განსაცვიფრებლად ათანხმებს გლეხის და მუშის ინტერესებს, ჩვენში კი, როგორც ჟორდანიამ აღნიშნა, გადავიკიდეთ გლეხები, ვინაიდან წამოვაყენეთ ნახევრად ბალშევიკური ლოზუნგები. ეს არის ჩვენი დიდი შეცდომა, მარა მე მეშინია, რომ საქართველომ, ეკონომიურად სუსტმა, როცა ის იძულებული გახდება მიმართოს უცხოეთის კაპიტალის დახმარებას, რითაც განვითარდება ინდუსტრია, არ მივიდეს იმ ღრმა განხეთქილებამდე, რომელიც არსებობს სხვა ქვეყნებში. მარა ისიც უნდა ვსთქვა, რომ საქართველოში თავის დროზე იციან ყველაფრის წამლის გამოძებნა და ალბათ ბრძნული პოლიტიკა აქაც ნახავს გამოსავალ გზას“.

ყველა ამ გამოთქმულ აზრებით იმდენათ დაინტერესდნენ ყველა იქ მყოფნი, რომ ზოგჯერ აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ნახევრათ კამათის ხასიათი მიიღო.

ნ. ხომერიკმა პასუხი გასცა მათ ზოგიერთ აზრებზე და სხვათა შორის სთქვა: „ჩვენზე გადამეტებული ქება გვესმის. ჩვენ ცოტა გავაკეთეთ, რასაკვირველია, შეცდომებიც გვქონდა, მარა საერთოდ ჩვენ მივდიოდით ჩვენი იდეიის—პროგრამის გზით და აქ აზიის და ევროპის საზღვარზე ჩვენი ერის 2.000 წლის შენახული კულტურა გავანოყიერეთ ამ ახალი იდეებით, ძველი განძი ჩამოვასხით ახალ ფორმაში და მივეცით ახალი შინაარსი, შესაფერისი დროსა და გარემოების. მართალია, აზიის საზღვარზე მისი განთავისუფლების სახელით ბალშევიკები გვეცილებიან, მარა ვინ არ იცის, რომ ეს გაკეთდება ქემალ-ფაშას და ენვერის ხელებით. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი დაგვჭირდება კიდევ ბრძოლა, ქართველი ხალხი შესძლებს ამ ბრძოლას, ჩვენი ხალხის ბუნება არის თავგანწირვა, მარა ერთის პირობით: თუ თქვენც გვერდში ამოგვიდგებით. ჩვენ არც იმის გვეშინია, რომ ჩვენში ინდუსტრიის განვითარება გააჩაღებს ღრმა ბრძოლას, ჩვენში ინდუსტრიას დახვდება უკვე შეკავშირებული და დარაზმული მუშათა კლასი, რომელსაც სახელმწიფოში გეგემონია ხელთ უპყრია და კაპიტალი ჩარხს უკუღმა ვერ მოატრიალებს“.

საერთო საუბარში და აზრთა გაცვლა-გამოცვლაში დასრულდა საღამო. ბაღის და სარდაფების დათვალიერების შემდეგ დაღლილი სტუმრები დასვენებას მიეცენ.

თ ე ლ ა ვ ში.

22 სექტემბერი. მიუხედავათ წვიმიანი ღამისა ღილა მოწმენდილია. ადრიანათ სტუმრები ათვალიერებენ ვენახებს, რის შემდეგ ეტლებით მიემგზავრებიან თელავისაკენ, სადაც 10 საათზე დანიშნულია დიდი მიტინგი. თელავმა წინა ღღით იცოდა დელეგაციის წინანდალში მისვლის შესახებ და სამზადისს უდგებოდენ. მუშათა კლუბის წინ მოედანზე მორთულია ტრიბუნა, ხოლო მის ირგვლივ დგას დიდძალი ხალხი დროშებით და სტუმრების პატივსაცემლათ გაკეთებული წარწერებით. სტუმრებს აცნობს ხალხს ამხ. ანდრონიკაშვილი, რის შემდეგ მიტინგს ხსნის ქალაქის თავი ლანდია და მოკლე მისასალმებელ სიტყვით ეგებება სტუმრებს.

პირველად სიტყვები წარმოსთქვეს ინგელსმა და თომას შოუმ, რის შემდეგ ვანდერველდემ სთქვა: „წუხელ ჩვენ ამხანაგებმა მიგვიყვანეს ყოფილი, მეფის გვარეულობის მამულში, რომელსაც წარსულში უნახავს მეფის ნათესავები და თვით მეფეც. იქ გაგვიწიეს ქართული სტუმართ-მოყვარეობა, ვიყავით მხიარული, მარა ამას არ ჰქონია ისეთი სახე, როგორც წარსულში. მე არ მგონია არ ეფიქრად ამხანაგებს იმ დროზე, როცა ძალმომრეობა არსებობდა, მე კი ვფიქრობდი იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იყო ეს ქვეყანა ომის წინეთ. მაშინ ქვეყანას განაგებდა სამი სახელმწიფო: ავსტრო-უნგრეთი, გერმანია და რუსეთი. პირველში მეფობდენ ჰაბსბურგები, სადაც დამონავებული ყავდათ ხალხი, ვერმანიაში აჟღარუნებდენ იარაღს, და ომისთვის ემზადებოდენ, რუსეთში კი თვითმპყობელობა სულს უხუთავდა ხალხს. ომმა და რევოლიუციამ დაამხო სამივე. ავსტრო-უნგრეთში დღეს ჰაბსბურგთა ნაცვლათ ჩვენი ამხანაგი რენერია, გერმანიაში ებერტი, ხოლო რუსეთში მოკლეს მეფე და მის ადგილას გამეფდა ბოლშევიკური ქაოსი. მარა ნიცშემ სთქვა: „საჭიროა ქაოსი, რომ მისგან იშვას ვარსკვლავი“. და მე მწამს, რომ რუსეთი ქაოსიდან თავს დააღწევს. თქვენ კი მთელი ამ ბრძოლიდან მიიღეთ მაქსიმუმი იმის, რისი მიღებაც შეიძლებოდა, ვინაიდან თქვენში ორმად დანერგილია სოციალიზმისადმი სიყვარული და დემოკრატიული გზით სვლა. მე არ შემიძლია ამისთვის არ ვადიდო თქვენი ხელმძღვანელები და მისი პარტია, ხოლო მე მინდა გამოვთქვა ერთი სურვილი, რომ საქართველოში ჩამოსულიყვეს მალე უფრო მრავალრიცხოვანი სოციალისტური დელეგაცია და აქ გაეხსნათ ინტერნაციონალის კონგრესი. საქართველო ინტერნაციონალისათვის იქნება სათაყვანებელი ბავშვი და როცა ჩვენ მივალთ ევროპაში, იქ ყოველი სოციალისტური პარტია ყოველ ღონეს იხმარს თქვენი დამოუკიდებლობის საცნობათ“.

დაუსრულებელმა ტაშმა და ვაშამ დაფარა ხელოვნურად წარმოთქმული სიტყვა. ამის შემდეგ ილაპარაკა **ხნოუდენმა**, ხოლო შემდეგ მიტინგი დროშებით გაყვა სტუმრებს, რომელნიც წავიდნენ ქალთა გიმნაზიის შენობაში ერეკლეს დროინდელ სახლის დასათვალიერებლად. სკოლის ეზო სავსეა მოსწავლე ქალებით. სტუმრებს ფარავს ყვავილები, მოსწავლე ბავშვები ტაშის კვრით აცილებენ სკოლის შენობამდე, ხოლო თვით სკოლის დარბაზში პირველ კლასების მოსწავლეთა ხორო ასრულებს მშვენიერ სიმღერებს. დელეგაცია ბრუნდება საკრებულო დარბაზში, სადაც მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ ს. დ. ორგანიზაციის წარმომადგენელი ს. მაჭავარიანი, სოც. ფედერალისტთა—პატარაია, დაშნაკცუტიუნის—ტერ არუთინოვი ტ ქალთა ორგანიზაციის სახელით ს. ნარეკლიშვილი. პარტიათა წარმომადგენლებს უპასუხა **ჰიუსმანნმა**, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ მოვისმინეთ თფილისში ს. ფედერალისტები, გავეცანით მათ პროგრამას და ვერ ვნახეთ კითხვა, რომელიც ყოფდეს მათ სოციალ-დემოკრატებისგან. არის მხოლოდ აგრარული საკითხი, რომელსაც ისტორიულ მსვლელობის დროს დაეკარგება მნიშვნელობა და გაერთიანება მაინც აუცილებელი იქნება. სოციალისტური ინტერნაციონალი მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ შეერთების საკითხში. ესერებზე ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ისინი მხოლოდ ტრადიციით ცხოვრობენ და არსებულ მდგომარეობას ანგარიშს არ უწევენ, ხოლო რაც შეეხება დაშნაკელებს, მათი წარმომადგენლები ჩამოსულები არიან თფილისში, გვეპატიჟებიან სომხეთისკენ და ჩვენ მთელი დელეგაცია თუ არა, ნაწილს მაინც შევძლებთ გავგზავნოთ. კერძოთ საქართველოს დაშნაკცუტიუნის მოვალეობას უნდა შეადგენდეს საქართველოს და სომხეთს შორის მტკიცე კავშირის შექმნა. ჩვენშიც, ბელგიაშიც არის უთანხმოება, მაგრამ სოციალისტურ მთლიანობას ვიცავთ. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალ სოციალისტურ კონგრესზე, რომელზედაც ლაპარაკობდა ამხ. ვანდერველდე და რომელიც შეიძლება გაიხსნეს საქართველოში რომელიმე ძველ კოშკში, სადაც ძველად მეფენი ცხოვრობდენ, დაესწრებიან საქართველოს ყველა სოციალისტური პარტიები“.

ხნოუდენის მოკლე სიტყვის შემდეგ სტუმრები გაემგზავრენ სადგურისკენ, საიდანაც საგანგებო მატარებლით უკან დაბრუნდენ.

23 სექ. დელეგაცია ქართლს გაივლის და ნახავს ბორჯომს. კახეთის სილამაზეს შესცვლის ბორჯომის ნაძვნარები, ბაკურიანის გზის იშვიათათ მიმზიდველობის სანახაობა.

*) დასასრული იხ. „საქ. რესპ.“ № 216.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

კომუნისტური ჯგუფი.

პრესა იუწყება; ბარაკებში მყოფმა ყოფილ მეფის არმიის ჯარისკაცებმა შეადგინეს კომუნისტური ჯგუფები, რომლებიც რუსულ სექციის სახით გერმანიის პარტიაში შედიან. სულ მოკლე ხანში ამ ჯგუფების მეორე კონგრესი შესდგა. კონგრესში მონაწილეობას 89 დელეგატი, რომლებიც იყვნენ წარმომადგენელნი 11500 წევრისა განიარაღებულ რუსის ჯარის კაცებს შორის ბოლშევიკური პროპაგანდა ენერგიულად სწარმოებს. სხვათა შორის რუსების ბარაკებში მოეწყო ჩრეზვიჩაიკები, რომლებიც სდევნიან საეჭვო ელემენტებს.

ბრძანება წითელ არმიისადმი.

პოლონურ გაზეთებში ტუხაჩევსკის მიერ ხელმოწერილი წითელ არმიისადმი გამოცემული ბრძანება არის გამოქვეყნებული: წითელი ჯარი მოიქანცა პლოცკზე და ვარშავზე გალაშქრებით და იძულებულია რიცხვით ძლიერ მოპირდაპირის შემოტევის გამო უკან დაიხიოს. დასასრულ დასავლეთ არმიის სარდალი ტუხაჩევსკი აღნიშნავს, რომ თუ უკან დახევა გაგრძელდა, მთელი საბჭოთა რეჟიმი საფრთხეში ჩავარდებაო.

შერეული კომისია.

კოტოვიცაში გერმანელებისაგან და პოლონელებისაგან საფრანგეთის წარმომადგენელის თავმჯდომარეობით შერეული კომისია შესდგა. კომისიის მიზანია მოაწყოს ზემო სილეზიის ქალაქებსა და სოფლებში მოქალაქეთა რაზმები, რომლებმაც გერმანელი დარაჯები უნდა შესცვალონ.

შვეიცა-ფინლიანდია.

„ფოსიშე ციტუნგის" ცნობით ამ უკანასკნელ ხანებში ფინლიანდიასა და შვეიცის შორის დამოკიდებულება ძლიერ გამწვავდა.

განიარაღების გამო.

გერმანიის პრესა წერილებს უძღვნის რეიხსტაგის მიერ მიღებულ კანონს, მცხოვრებთა საყოველთაო განიარაღების შესახებ. პრესა აღნიშნავს, რომ კომუნისტები მოახერხებენ კანონის გვერდის შემოვლას და იარაღის დატოვებას და ამ გვარათ ხალხი საშუალებას მოკლებული იქნება მათ გამოსვლას აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოსო.

პროტესტი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

უკრაინის მთავრობამ გერმანიის პრესაში გამოაქვეყნა პროტესტი ბოლშევიკების წინააღმდეგ. პროტესტში აღნიშნულია, რომ საბჭოთა რუსეთმა სავსებით გაანადგურა უკრაინაო. მტკიცე ზავი მხოლოდ მაშინ იქნება, შესაძლებელი თუ ხალხს საშუალება მიეცემა თავისი აზრის თავისუფლად გამოთქმისაო.

იარაღის ყიდვა.

„ლაკალ ანცეიგერის" ცნობით პოლონეთის მთავრობა ბლომად ყიდულობს ბერლინში იარაღს და შემდეგ დანციგაში აგზავნისო.

მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

მეფეიქრეთა მე 6 კონგრესმა კატეგორიული პროტესტი განუცხადა მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ. ბოლშევიკების საწინააღდეგო რეზოლიუცია მიიღეს 5266 ხმით, რომლებიც 118 სინდიკატს წარმოადგენენ.

სომხეთი და საქართველო.

სომხეთის პრესა სტამბოლში მოითხოვს, რაც შეიძლება საჩქაროთ შეიკრას კავშირი სომხეთსა და საქართველოს შორის სომხეთის საერთაშორისო ინტერესების დასაცავად. ირგერი წინადადებას იძლევა შექმნან აღმოსავლეთის ანტანტა სომხეთსა, საქართველოსა და საბერძნეთისაგან.

ინგლის-რუსეთის დამოკიდებულება.

„ტაიმსი" გადმოგვცემს: მოქმედების საბჭო თანაგრძნობის გამოსაცხადებლად საერთო გაფიცვას ვერ მიმართავს. საბჭ. რუსეთისადმი დახმარება სამხედრო მასალის დამზადებაზე უარის განცხადებაში გამოიხატება. საბჭოს წევრმა ბრომლეიმ განაცხადა: ლონდონის საბჭო არ გაიფიცება, რადგან არა აქვს სურვილი, რომ რუსეთისათვის ბრიტანეთის მუშები შიმშილით ამოხოცოსო. რკ. გზ. კავშირის მდივანმა კრატმა კავშირის სახელით გამოუშვა ცირკულიარი, სადაც სწერს: უკანასკნელი ომის საშინელებები მუშებს არ დავიწყნიათ, და მათი დაბრუნება არავის არ სურს. მეორე ომი მომავალ თაობას ჩააგდებს სილარიბეში ამიტომ საჭიროა ომს წინააღმდეგობა გაეწიოს, მაგრამ უკიდურეს ზომებს საბჭო არ მიმართავს: უთანხმოება მოკლე დროში მშვიდობიანობის გზით მოისპობა.

ქალთა ლიგაში.

ქალთა ეროვნული ლიგა ლონდონში მუშათა მეუღლეობის კონფერენციას აწყობს. მოეწყობა ქალთა მოქმედობის კომიტეტები, რომელთა მიზანია: სამშობლოს გადარჩენა შესაძლებელ გაფიცვათა უბედურობისაგან.

(გაზეთებიდან)

რიზა ფაშა.

ნიცაში გარდაიცვალა ოსმალეთის ყოფილი სამხედრო მინისტრი რიზა ფაშა. რიზა ფაშა 86 წლისა იყო.

კლემანსოს მოგზაურობა.

კლემანსო ეგვიპტეში წასვლის შემდეგ ინდოეთში ფიქრობს გამგზავრებას.

პოლონეთ საბჭოთა რესპუბლიკის კონფერენცია.

პოლონეთ-საბჭოთა პირველი კონფერენცია შესდგა 23 სექტემბერს ქალაქ რიგაში. კონფერენციას დაესწრენ ლატვიის გარეშე საქ. მინისტრი, პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარე დაბსკი—საბჭოთა მთავრობიდან—იოფფე.

ბაქოს ევაკუაცია.

თეირანში მიღებული ცნობით ბოლშევიკები ბაქოს ევაკუაციას აბდენენ.

ბოლშევიკების რეჟიმი აზერბეიჯანში.

ბაქოდან იტყობინებიან რომ ბოლშევიკების რეჟიმით რაც დრო გადის მუშათა შორის დიდი უკმაყოფილება იზრდება ბოლშევიკები სომეხ-მუშებს გზავნიან ყარაბაღში. საბჭოთა აზერბაიჯანში გავრცელდა მალარიის ეპიდემია. ორმოცდა ათი პროცენტი საბჭოთა ჯარისა ავადაა. ბოლშევიკები ავრცელებენ ცრუ ხმებს, რომ ვითომ მათ დაიკავეს კაფანი ზანეზურში. მობილიზაცია მეტად ზანტად მიდის. ახალგაზრდები იმალებიან მთებში. საერთოდ ბოლშევიკებისადმი ცუდი განწყობილება და აპატია იკიდებს ფეხს აზერბეიჯანის მცხოვრებლების შორის.

„ბერლინერ ტაგებლატი" საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი" ეხება რა საბჭოთა რუსეთის ცხოვრებას, სხვათა შორის აღნიშნავს, რომ რუსეთში დამკვიდრებულის რეჟიმის გარდატეხა მეტად ძნელი საქმე იქნება. კომუნიზმმა ისეთი მჭიდრო ფესვები გიდგა, რომ საეჭვოა მისი ძირის ფესვიანად აღმოფხვრა.

ცხოვრება პეტროგრადში.

საზღვარ-გარეთის კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ პეტროგრადი, წინანდელ, რუსეთის სატახტო ქალაქი. აღარ არსებობს-წინანდელი პეტროგრადი დღეს მოკვდა. მისი მაჯის ცემა შეწერებულია. ცხოვრება აღარა სცემს თავისი ტემპით. ქუჩები დაცალიერებულია, მაღაზიები ჩალეწილი, გამტვერებული. პუტილოვის ქარხანა სდგას, აღარ მოძრაობს. ერთი სიტყვით ბოლშევიკებმა გააკეთეს ის, რის გაკეთება მხოლოდ მტერს შეეძლო რუსეთისთვის.

მიწად-მოქმედების სამინისტროში.

ჯიშიან ფრინველთა მოშენება.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ ქ-ნ ნ. გაბაშვილის თხოვნა, რომ მის განკარგულებაში გადაეცათ ნაკვეთი მიწა მუშტაიდში—სამინისტრომ არ დაამაყოფილა, რადგან თვით მიწად-მოქმედების სამინისტროს სპირდება დასახელებული ნაკვეთი რესპუბლიკაში ჯიშიან ფრინველების მოშენებისთვის და ქ-ნ ნ. გაბაშვილის ნათხოვნი ნაკვეთი გამოყენებული იქნება ამ მიზნისთვის. სამინისტრო სასურველად სცნობს დახმარება აღმოუჩინოს ქ-ნ გაბაშვილს ფრინველთათვის საკვებ მასალის შეძენაში, რამდენადაც ეს საჭირო იქნება ჯიშიან ფრინველთა შესანახად. მიწად-მოქმედების სამინისტრო ფიქრობს საზღვარგარეთიდან სამინისტროს და საზოგადო ორგანიზაციებისათვის თავისი ხარჯით გამოიწეროს საჭირო იარაღები.

ხეხილის სანერგეები.

ართვინის ზეთისხილის და სანერგეს გასაფართოვებლად მიწად-მოქმედების სამინისტროს დადგენილებით უნდა შემოუერთდეს სანერგეებს მიწა სივრცით 496 კვ. საჟ., რომლითაც ამ ჟამად სარგებლობდა მ. პუჩინინი. მას ამის მაგიერ მიეცემა საიჯარო ნაკვეთებიდან № 201 ადგილი სივრცით 600 კვ. საჟ. რომელიც გამოიყოფა სწორე ხაზით პუჩინინის სახლის კუთხიდან ზეთის ხილის ხემდის, რომელიც შარა გზას დაჰყურებს. დანარჩენი საიჯარო ნაკვეთების ეგრედ წოდებული „სვეტი ბარში" შემოერთება მიწად-მოქმედების სამინისტრომ დაავალა აგრონომ რცხილაძეს.

საქართველოს შესახებ

„ბოსფორი" საქართველოს და დასავლეთის ცივილიზაციას ცალკე წერილს უძღვნის. გაზეთი სწერს: საქართველო, რომელმაც მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა იმის ღირსია, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა სერიოზული ყურადღება მიაქციონ მას. ადმინისტრაციის მხრივ მშვენიერათ მოწყობილი საქართველო აღმოსავლეთისა და ევროპის შუა გზაზე პირველ რიგში სდგას. თავისი რელიგიით და კულტურით საქართველო წარმოადგენს დასავლეთს აზიის კარებში. აგრეთვე დიდათ საყურადღებოა საქართველო კომერციის მხრით, ვინაიდან ევროპის გზა საქართველოზე გაიარს ბათუმით ტფილისში. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველო მიაგავს ისპანეთს მცხოვრებთა მრავალფეროვანებითო. ხალხის სათავეში სდგანან მათი საყვარელი ბელადები, რომლებიც არა თუ მხოლოდ ფრიად ნიჭიერნი არიან, არამედ, რომლებმაც თავისი ბრძნული პოლიტიკით დაამტკიცეს, რომ მათ აქვთ ცოდნა და უნარი უხელმძღვანელონ სახელმწიფოსო.

ახალი ამბები

ერობათა კავშირში. ერობათა კავშირი ოქტომბრის 1 იწვევს კომიტეტის პლენარულ სხდომას, სადაც იმსჯელებენ: 1. თემის კანონ-პროექტის, 2. ერობათა წარმომადგენელთა საერთო კრების მოწვევის. და 3. თემის მოღვაწეობის შესახებ.

ჯანმრთელობის დეპარტამენტში. 8—16 სექტემბრამდე ტფილისში ავად გამხდარა და გარდაცვლილა ხოლერით და არა ჟირკვებიანი ჟამით როგორც ეს შეცდომით გუშინდელ ნომერში გვქონდა აღნიშნული: ავათ იყო 21, ავად გახდა 7, გარდაიცვალა 6, მორჩა 4 და საავადმყოფოში იმყოფება 18. გორის მაზრაში ავად გახდა 23, გარდაიცვალა 15, მორჩა 8, ტფილისის მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1. სულ ერთი კვირის განმავლობაში ავად იყო 21, გახდა ავად 31, გარდაიცვალა 22, მორჩა 12, და სექტემბრის 16 სთვის საავადმყოფოებში იყო 18 ავადმყოფი.

მთავრობის დადგენილებანი. 18 სექტემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: მიენდოს ფინანსთა მინისტრს წარმოადგინოს ვრცელი მოხსენება სატრანსპორტო საზოგადოების მდგომარეობის შესახებ.

— გადაიდოს 151.670 მან. ი. წინამძღვარიშვილის დასაფლავებით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად. აქედან 100.000 მან. უნდა გადაიდოს 10 მილ. მან. ფონდიდან, დანარჩენი კი განათლების სამინისტროს განკარგულებაში არსებული თანხიდან.

კოოპერატიულ ბანკში. კოოპერატიულ ბანკის გამგეობამ დაადგინა: აქტიურ ოპერაციების გამრავლების გამო შეამციროს კომისიის რაოდენობა $^1/_2$%-ით ესე იგი 2% მაგივრად აიღოს $1^1/_2$%.

პურის შემოტანა ტფილისში. თანახმად სასურსათო განყოფილების პურის ბიუროს ცნობებისა, 8 სექტემბრიდან 22-მდე ტფილისში შემოუტანიათ 84.105 ფუთი ხორბალი. ამ ხნის განმავლობაში შემდეგი ფასები არსებობდა: თეთრი ქერი ფუთი 1200 მან. შავი ქერი 1000 მან. ქერის ფქვილი ფუთი 1650 მან. პური 2000—2500 მან., პურის ფქვილი 2000—2700 მან. და სიმინდი 1000 მან.

პურის საქმის რევიზია. მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ მიანდო გ. ი. ხუნდაძეს ყოველ მხრივ გამოიკვლიოს მოსამსახურეებისა და მუშებზე დასარიგებელ პურის ღირსების დაცემის მიზეზი. ხუნდაძეს უფლება მიეცა გაუკეთოს რევიზია საწყობებს, წისქვილებს და ფურნეებს და კერძო პირთა მოღვაწეობას. ხუნდაძე შეუდგა მასზე დაკისრებულ მოვალეობათა სასწრაფო შესრულებას.

მადლობა ტფილისის მაზრის მილიციის უფროსს. ტფილისის მაზრის ერობის გამგეობამ თავის დადგენილებით გამოუცხადა მადლობა ტფილისის მაზრის მილიციის უფროს. კ. მ. დანელიას ყაჩაღთა ბრბოსთან ენერგიულ შებრძოლებისათვის მაზრაში.

რუსეთში საქ. დიპლ: მისიის გამგზავრება. სექტემ. 26 დღის 12 საათზე ტფილისიდან რუსეთში მიემგზავრება ბაქოთი საქარ. დიპლ. მისია გერასიმე მახარაძის მეთაურობით.

საქართველო და ადერბეიჯანი. ადერბეიჯანის საბჭ. რესპუბლიკის საგარეო და ფინანსთა კომისარმა გუსეინოვმა და საქარ. წარმომადგენელმა ადერბეიჯანში ალშიბაიამ ინახულეს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია და დიდხანს ესაუბრეს, მას სატრანზიტო-სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ადერბეიჯანსა და საქართველოს შორის უნდა დაიდოსო. ყველა საკითხში მოხდა შეთანხმება. მ. დ. გუსეინოვი და გ. ც. ალშიბაია სექტ. 25 ბაქოში გაემგზავრენ, სადაც ხელს მოაწერენ სატრანზიტო-სავაჭრო ხელშეკრულებას.

ბიბლიოგრ. შენიშვნები

საფუტკრის მოვლა. მეფუტკრის კალენდარი. თხზულება ედუარდ ბერტრანისა

(მთარგმნელ-გამომცემელი ლ. ცაგარელი. გამოიცა სამხედრო კავშირის დახმარებით. ფასი 80 მანეთი.)

სამ თვეზე მეტია, რაც ეს წიგნი გამოვიდა მაგრამ ჯერ მის ავკარგიანობის შესახებ არავის დაუწერია. მე როგორც „ფუტკარისა და მეფუტკრეობისა" ავტორს მეკრძალება ხმა ამოვიღო, მაგრამ თვით საქმის სიყვარული მიკარნახებს რაც სიმართლეა ვსთქვა. სიმართლე კი ის არის, რომ ბერტრანი (შვეიცარიელი ნასწავლი მეფუტკრე) თავის დროზე დიდათ გამოჩენილი მეფუტკრე იყო. წიგნიც, როგორც იშვიათი თითქმის ყველა ენაზე გადმოთარგმნა. მაშასადამე ცხადია ამ წიგნის თარგმანი ქართველებისათვისაც განძია, ამას მე თვითონ ვამბობ ჩემი წიგნის წინასიტყვაობაში. მაგრამ მიუხედავად ამისა მეფუტკრეობის შესასწავლად მისი წიგნი ჩვენ დღეს არ გვარგია. ბერტრანის მოწაფეებიც მეფუტკრეობის დარგში წინ წავიდენ, პრაქტიკამ და სხვა და სხვა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ ბერტრანის შემდეგ ბევრი რამ ახალი აღმოაჩინა. ეს წიგნი დღეს ძეფუტკრეს, ჩვენებურს და და ისიც მეფუტკროების ახლად დამწყებს სახელმძღვანელოდ არ არგია, უკეთესი იყო წიგნის ზედმეტი ბარგისაგან (თუ ის მართლა როგორც წინასიტყვაობაში ამბობს გლეხებისათვის თარგმნილა), გაწმენდა, ამით წიგნი დაჯდებოდა იაფი და იქნებოდა უფრო სასარგებლო... მაგრამ ეგ შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ მეფუტკრეს, საქმის მცოდნეს და არა მხოლოდ თაფლის მოყვარულ ადამიანს. ბ ნ ლ. ცაგარელს ბერტრანი უთარგმნია რუსულიდან, თვით რუსული თარგმანი კი ეკუთვნის რუსეთში სახელმოხვეჭილ მეფუტკრე კონტდრატიევს, რომელიც წიგნს შენიშვნებს (ძლიერ ბევრსაც) უკეთებს რუსეთის მეფუტკრეებისათვის შეხამებულს. ბ-ნ ცაგარელსაც, მიუხედავათ იმისა, ჩვენებურ მეფუტკრეს გამოადგებოდა თუ არა ეს შენიშვნები(რომელთაც უაღრესად არსებითი მნიშვნელობა აქვთ) ყველა უთარგმნია. ჩვენებურ მეფუტკრეს, რომ ეთარგმნა კი მაშინ ისიც (მთარგმნელი) კონდრატიევსავით მოიქცეოდა და ჩვენებური მეფუტკრეების გამოსადეგ შენიშვნებს გამოაკეთებდა. ტყუილად კი არ ამბობს ჩვენებური ანდაზა: „პური მეპურეს გამოაცხობინე და ერთი მეტი მიეციო".

ინტენსიურ რაციონალური მეურნეობა რუსეთში ევროპიდან შემოვიდა, ყველაფერი უცხო რუსებმა თავის ქვეყანაში სინჯეს, სცადეს და უცხო ენებიდან ნათარგმნებიც თავიანთი კვლევა-ძიებით შეავსეს, ცხადია უცხოეთიდან რუსებმა კარგი წამოიღეს, უკვე იქ ნაცადი, ეგზამენ დაჭერილი რუსებიდან ჩვენ, ქართველებმა გადმოვიღეთ, მაშასადამე ამ მხრივ ჩვენ კარგ პირობებში დავრჩით, რადგან ხელში ორჯელ გაცხრილული დაგვრჩა. ასეა მეფუტკრეობაც. ბერტრანის მთელ მსოფლიოზე მოდებული წიგნი რუსეთში უკანასკნელად გამოიცა 1893 წელს, მაგრამ რადგან მერე ცხოვრების პროგრესმა უკეთესი წიგნები გააჩინა, ამიტომ ამ წლის მერე ეს წიგნიც აღარ გამოცემულა, ახლა იკითხოს ერთი ბ-ნმა ცაგარელმა 1893 წელს შემდეგ რამდენი ასი ათასი გამოიცა დერნოვის წიგნი—რისთვის? იმიტომ რომ დერნოვის სახელმძღვანელო, მართლა რომ სახელმძღვანელოა, თანამედროვე და იმაში თავმოყრილია სწორეთ ის, რაც უკვე ცხოვრებამ ახლად წარმოშვა. ცხოვრება ულმობელია; დღეს ნაქები ხვალ უსახელო-გამოუსადეგარია. სამეურნეო წიგნის ავტორი დონკიხოტის ავტორი ან ვეფხვის ტყაოსნის-კი არ არის, რომ მუდამ იცოცხლოს და მის ნაწერს შესწორება-შეკეთება ან სრულიად უარყოფა არ სჭიროდეს.

აბა დამისახელოს ბ-ნმა ცაგარელმა (ან სხვა ვინმემ) რომელ ქვეყანაში აშენებენ ახლა ფუტკარს ბურკი-იეკერის, ლაინსის, ბერლეპშის, ანგლო-ამერიკელის, წიგნ მაგვარის და სხვა და სხვა ყაიდების (სისტემის) სკებში—არავინ. ეს იყო მას ჟამსა შინა, მაგრამ დღეს კი რა მას შემდეგ სამი ათეული წელიწადია. რაც ეს სკები არქივს (მუზეუმს) ჩააბარეს და ფუტკრებს აშენებენ, მხოლოდ და მხოლოდ დადან-ბლატის სკაში (ზოგან კი დადან-ბლატის სკაში, მაგრამ ლანგსტროტის ჩარჩოთი).

ალ. წულაძე.

(შემდეგი იქნება).

ხელოვნება.

ქართული დრამის ხეზონი.

წელს ქართული დრამა მოთავსდება მეორე სახელმწიფო თეატრში, ყოფილ არტისტიულ თეატრის შენობაში. დასი საზამთრო სეზონისთვის მთელი ზაფხული საავარიკოთ იყო გასული და სურამში ემზადებოდა. თბილისში ენკენისთვის პირველ რიცხვებიდანვე შეუდგა სეზონის სამზადისს. დასი სახელმწიფოს ხარჯზე იქნება. მოწვეულნი არიან ქართველი მსახიობის ყველა საუკეთესო ძალები. ჯერჯერობით დასში იმყოფებიან: ქ ნნ ნინო ჩხეიძე, ნინო დავითაშვილი, ტასო აბაშიძე, ელისაბედ შერქეზიშვილი, ანგტა ქიქოძე, ვ. ციმაკურიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ბ-ნნი

ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ნ. ყალაბეგიშვილი, შ. ხონელი, მ. ჭიაურელი, მ. გელოვანი, მ. სარაული, ვ. ჯიქია, ა. ვასაძე და სხვა. რეპერტუარი უკვე შემუშავებულია. პირველ რიგში დაიდგმება შემდეგი პიესები: ალ. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი". პიესას დასდგამს აკაკი ფალავა; „ოტელო" შექსპირისა, „ოიდიპოს მეფე"—სოფოკლესი. განზრახულია დაიდგას სუმბათაშვილის „ღალატი" ალ. წუწუნავას რეჟისორობით სრულიად ახალი დეკორაციებით და ახალი მიზანსცენებით. ალ. ახმეტელი დასდგამს პირველად ქართულ სცენაზე ა. ბანიაშვილის „ბერდოზმანიას". ამ ჟამად თეატრს რემონტს უკეთებენ. განახლებული იქნება დეკორაციები. მხატვრად მოწვეულია სიდამონ ერისთავი, რეჟისორებად: ალ. წუწუნავა, მ. ჭორელი, აკ. ფალავა და ალ. ახმეტელი. დასის გამგეთ დირექტორად მიიწვიეს დრამატურგი ნ. შიუკაშვილი. სეზონი გაიხსნება შალვა დადიანის პიესით „გუბანდოლნი"თ ოქტომბრის პირველ რიცხვებში. წარმოდგენები კვირაში ოთხჯერ გაიმართება. განზრახულია განსაკუთრებით გაიმართოს ხოლმე წარმოდგენები ჯარის კაცთათვის, გვარდიისთვის და მოწაფეებისთვის.

მილიციაში

ქურდობა.

13 სექტემბერს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის საწყობის № 4. გამგემ ბ. ჯიბლაძემ გამოუცხადა სისხლის სამართლის მილიციას რომ საწყობში რომელიც არის ფეირვერკოვის ქუჩ. მან აღმოაჩინა სისტემატიური ქურდობა საკერავი ძაფისა და სატინის ფუფაიკების, ექვი განაცხადა იმავე საწყობის მოშუშავეზედ მიხ. ევტ. სირაძეზე რომელიც ადგილობრივ იყო დაპატიმრებული სისხლის სამართლის მოხელეების მიერ. დანაშაულობაში გამოტყდა მანვე დაასახელა ქურდობაში მონაწილედ დოლიძე ისიც დაპატიმრებული იქნა.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა ორი თვის შვებულების მოწმობა № 374, მიღებული სახალხო გვარდიის მე 6 ბატარეის უფროსისგან იასონ ანტომის ძე ზოდელავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2815 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული ქ. ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1905 წ. 11 ნოემბერს № 7912. ელისაბედ მიხეილის ასულის თაიროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2808 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან იოსებ ქრისტეფორეს ძე მჭედლიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2813 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან ანნა სიმონის ასულის ტრეტიაკოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2814 3—2

დაიკარგა მატრიკული № 157 და მოწმობა მიღებული ტფილისის პოლიტეხნიკუმიდან ბენედიქტე გერასიმეს ძე ლორიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2816 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიიდან ტატიანა ილიას ასულის იანზინას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2817 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული მე-15 სათადარიგო ბათალიონიდან და პირადობის მოწმობა მიღებული მე-2 ქვეითა ათასეულის კანცელარიიდან ეკატერინე ნიკოლოზის ასულის დონჯაშვილის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2818 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3669. ვლადიკავკავის ქალ. მილიციის სამმართველოდან პეტრე ტიტის ძე ფეფელოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2819 3—2

დაიკარგა მოწმობა № 2263. შალვა ვლადიმერის ძე ჭანიკაშვილის სახელობაზედ, მოცემული ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სამხედრო განყოფილებიდან. გაუქმებულათ ჩაითთვალოს. 2820 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან მეტრიკული მოწმობა მიღებული ახალციხის მაზრის სამმართველოდან და სათადარიგო ჯარის კაცის მოწმობა მიღებული ახალციხის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისგან ისაკ ევუშვაქის ძე ანტოშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2807 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ალექსანდროპოლის ქალაქის თვითმართველობიდან ანდრია სარქისის ძე მარკარიანცის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2800 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. ქილაქის გამგეობიდან 21 ივნისს 1920 წ. № 2625 გიორგი დავითის ძე ფალავანდიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2795 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო ბეგრის უფროსისგან და პასპორტი მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან არტემ ალიბეგის ძე აგამოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2823 3—3

დაიკარგა ატესტატი ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტიდან მოცემული იოსებ ნიკიფორეს ძე მებუკის სახელზე და მეტრიკული ამოწერილობა სინოდიდან მიღებული. გაუქმებულად ჩაითვალოს. (უფ.) 3—2

დაიკარგა მოწმობა № 3376 მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმის უფროსისგან აბდულა ალიევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2850 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიიდან 1908 წ. 9 დეკემბერს № 14360 რახიმბეგ რახიმბეგოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2861 3—2

დაიკარგა საწევრო ბარათი № 57 მიღებული ომში დაჭრილთა და დასახიჩრებულთა კავშირიდან სიმონ ფილიპეს ძე ახალაძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2846 3—2

დაიკარგა ტფილისის სამხედრო უფროსის მიერ 28 მაისს 1920 წ. გაცემული მოწმობა № 4404 მუშელ [illegible]მიკირტიჩის ძე აივაზოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2847 3—2

დაიკარგა შინაური ხელწერილი მიცემული მარტინ სტეფანის ძე მარუნოვის მიერ კარაპეტ საავის ძე ალიხანოვზე რომ მას ე.ი. მარუნოვს მართებს სამოცი ათასი მან (60000) მან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2848 3—2

დაიკარგა ტფ. ქალაქის გამგეობიდან მიღებული სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების დახმარების წიგნაკი. № 79. აბრამ შიმხანის ძე აბადხანაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2849 3—2

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად კაკიბო მიხეილის ძე დავითაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი და ნუსხა, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულად ჩაითვალოს. 2872 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიხეილ ალექსანდრეს ძე მორთულაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2886 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ ივანეს ძე ნეფედევი-რომანოვსკიმ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ანნა ალექსანდრეს ასული, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1879 წელს, უკვალოდ დაიკარგა იმავ 1879 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ანნა ალექსანდრეს ასულის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 2889 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სიმონ ნიკოს ძე კალანდაძის სახელზე მიღებული მომარაგების სამინისტროს განყ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2887 3—1

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 41 მიღებული რაჭის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან სიმონ ნესტორის ძის გვენცაძის სახელზე 1920 წ. 23 თებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2883 3—1

სამოქალაქო სამართლის № 22470 წარმოების წესდების 1453 მუხლის თანახმად, ტფილისის საოლქო სასამართლო სთხოვს მარიამ ლევანის ასულს ფონ-კრუზენშტეინს გამოცხადდეს სასამართლოში ნინო ლევანის ასულის თუმანოვის პეტრე ლევანის ძე, ნიკოლოზ ლევანის ძე მელიქოვების და ნინო მიხეილის ასულის ლუსომსკის თხოვნის გამო, მარიამ ლევანის ასულის ფონ-კრუზენშტეინის უკვალოდ დაკარგულად ცნობის შესახებ. მარიამ ფონ-კრუზენშტერნი მოვალეა ოთხი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნების გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში განუცხადოს სასამართლოს თავის ვინაობა ქალაქ ტფილისში. თუ ეს არ იქნება ასრულებული ყველა ქალალდები, რომელიც იქნება შემოსული მის სახელზე დატოვებული იქნება სასამართლოში. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილია შემდეგი საბუთები: ასლი მოწმობისა № 20848 მიცემულია ტფილისის საოლქო სასამართლოდან, ტფილისის მილიციის უფროსის მოწმობა № 1314, განცხადება საურთიერთო ნდობას საზოგადოებისა, ასლი მომრიგებელ მოსამართლის რაპორტის, უკაზი, რწმუნებულის ქალალდი, ასლი სასამართლოს განაჩენისა,

2254 1—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან, და მეტრიკული ამონაწერი სერგო პავლეს ძე ნოზაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2874 3—1

დაიკარგა ნუსხა და პირადობის მოწმობა გაბო მიხეილის ძე ბაბაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2880 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით № 915 მილიციონერი ვალილი ლევანის ძე ბედოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2881 3—1

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 640, მიხეილ იოსების ძე მარციშევსკის სახელზე მიღებული ტფ. მეორე ვაჟთა გიმნაზიიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2884 3—1

შულავრის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მცხოვრებ ქ. შულავრისა მართა გრიგოლის ასულის ტერ-ყაზაროვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ტერ ყაზაროვის ქონებაზე თანახმად 1241 მუხ. ძალით 1 ნაწ. 10 ტ. (კრებ. სამოქ. საქ. გამოც. 1887 წ.

2856 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2485 სამსონ ისმაილის ძე სლანოვის სახელზე, მიღებული ქ. გორის კომისრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2873 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან 1918 წ. და პირადობის მოწმობა, მიღებული რკ. გზის მთავარ სახელოსნოდან გიორგი ანდრიას ძე ეგოროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2875 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 9005, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოსაგან, ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების № 9608 და ტფილისის კოოპერატივის № 145 წევრობის წიგნაკები—ივანე რომანეს ძე შოლუხის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2878 3—1

ხარაგოულის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს თავის კამერაში სერაფიონ დიმიტრის ძე კაკიაშვილს, პალატი, ირადიონ და ვარლამ მაღლაკელიძეებს და კოლია გაბრიჭიძეს 14 მომავალ ოქტომბრისთვის დილის 10 საათზედ, რომლების ბინადრობა და მისამართი საქმიდგან გამოურკვეველია, რომელთაც ბრალი ედებათ 169 მუხ. სისხ. სასჯელის წესდების დარღვევაში. თუ ხსენებულნი პირნი აღნიშნულ დროს არ გამოცხადდენ, დადგენილი იქნება დაუსწრებელი განჩინება. 760 1—1

შულავრის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებული მცხოვრებ ქ. შულავერში გევორქ მანას ძე ყულიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ყულიანცის ქონებაზედ, თანახმათ 1241 მუხ. ძალით 1 ნაწ. X ტ. (კრებული მოქ. საქ., გამოც. 1887 წ.)

2879 1—1

გურჯაანის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ 1920 წელს აგვისტოს 7 დღეს ალექსანდრე სოლომონის ძე ვაჩნაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება აღნიშნული ვაჩნაძის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობაზე სამოქ. სამ. კან. კრებ. 1241 მ. აღნიშნულ ვადაზე. 2859 1—1

მანგლისის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ტფილისის მაზრის სოფ. პრიუტის მოქალაქის ვლადიმერ ქრისტეფორეს ძის დუკავსკოის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებულ დუკავსკოის დარჩენილ ქონებაზედ კან. კრებ. მე 10 ტომის 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაზე. 2858 1—1

ჭიათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმათ 3 ს. 2330 და 2331 მუხ. სამ. საქ. წარმ. წესდ. X ტ. ნაწ. I, ამით აცხადებს, რომ ვექილობა მიცემული ნესტორ (სევერიანე) ბიჭიას ძე კაპანაძის მიერ ხათუნა დათუას ასულის კაპანაძეზე შესრულებულის ჭიათურის ნოტარიუსის მიერ 3 ენკენისთვეს, 1911 წ. ნუსხით № 1694. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2857 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 4 ოგბერვალს 1920 წ. საქმე გარდაცვალ. 17 ნოემბერს 1919 წ. მიხეილ დიმიტრის ძე მჭედლიშვილის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 2774 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 23 აპრილს 1920 წ. საქმე გარდაცვალ. 25 თებერვალს 1920 წ. სოლომონ ალექსანდრეს ძე ბებუთოვის ნოტარ. სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 2546 1—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო, თანახმად სტეფანე გიორგის ძე უკლებას განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს ექვსი თვის პასპორტი, და სალდათობის ნუსხა, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთები წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულად ჩაითვალოს. 2860 1—1

ცეცხლისაგან კონების დამზღვევი ტფილისის საურთიერთო საზოგადოების გამგეობა

აცნობებს თავის წევრებს, რომ კვირას 26 სექტემბერს დილის 11 საათზე გამგეობის შენობაში (ველიამინოვის ქ. № 2).

დანიშნულია სეგანგებო საზოგადო კრება

განსახილველი იქნება:

1. გამგეობისა და მეთვალყურე კომიტეტის მოხსენებანი.
2. საზოგადოების შემოსავალ-გასავალი.
3. საპოლისო გადასახადის გადიდება.
4. გამგეობის ერთი წევრის მძიმე ავადმყოფობა.
5. მოთვალყურე კომიტეტის მოხსენება გამგეობის წევრების ჯამაგირის გადიდების შესახებ.
6. მიმდინარე საკითხები.

894 1—1

სახელმწიფო სტამბა

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი